ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 27 ოქტომბერი № 1623

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

რედაქციისაგან.

გაგახსენებთ ხელის-მომწერთ, ვისაც სრულად არ შემოუტანია დაკვეთილ „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ წლიური ფასი—დროით წარმოადგინონ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ე. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ს. ა. ვოინო.—ხირურგიული, ხუთშაბათობით და შაბათობით 1—2 საათამდე.

ი. დ. გეგთაგეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ექიმი
კ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

მოსარეცხე.

ვიღებ სარეცხს. თეთრეულს, საცვლებს ვრეცხავ სუფთად და პირიანად. სამრეცხველო იმყოფება მე-4 ნაწილში, ბაღების (იგივე ბებუთოვის) ქუჩაზე, № 34. იკითხეთ იქვე ალიაყაფის კარებთან. (2—182—2)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ამ წლის 10 ოქტომბრიდან ტფილისის საოლქო სასამართლოსთან დაარსდა **ნაფიც მექილების და მათი თანაშემწეების**

კონსულტაცია,

სადაც მსურველთ მიაწვდიან სიტყვიერ და წერილობით რჩევას და დასაბუთებულ აზრს ყოველგვარ სასამართლო საქმის შესახებ და სადაც მსურველთ შეუდგენენ ყოველგვარ საქმის ქაღალდს.

კონსულტაცია ღია არის ყოველ-დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე, გარდა კვირა-უქმეებისა; ბინა აქვს საოლქო სასამართლოს განყოფილებაში.

ღარიბთათვის უფასოა.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ შეუძლიათ წერილით მიჰმართონ კონსულტაციას; პასუხის მისაღებად მხოლოდ ფოსტის მარკა უნდა გაუგზავნონ. (6. 6—6)

საშინდვრო კულტურის მოდგაწეთა კრების სხდომები იქნება 25, 26 და 27 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში. (3—3)

ლი-ხუნ-ჩანგი

—

დეპეშამ გვაცნობა ჩინეთის შესანიშნავ სახელმწიფოს მოღვაწის ლი-ხუნ-ჩანგის გარდაცვალების ამბავი. ლი-ხუნ-ჩანგის სახელი ყველამ იცის, ვისაც ერთხელ მაინც ჩაუხედნია გაზეთში. ჩინეთის საქმეებმა ბოლო წლებში საერთო ყურადღება მიიპყრეს, ხოლო ლი-ხუნ-ჩანგი უმთავრესი და შესანიშნავი მოღვაწე იყო უკანასკნელ ამბებში და შორეულ აღმოსავლეთის უკანასკნელ ხანის ისტორიაში. მას უწოდეს აღმოსავლეთის ბისმარკის სახელი და ტყუილადაც არ დაურქმევიათ მისთვის ეს მრავალ-მნიშვნელოვანი სახელი: ლი-ხუნ-ჩანგის ხერხიანმა პოლიტიკამ დიდი სამსახური გაუწია ჩინელებს განსაცდელის დღეებში.

ლი-ხუნ-ჩანგი დაიბადა 1823 წელს, ასე რომ 78 წლის მოხუცი იყო. სიყმაწვილეში ის სამხედრო სამსახურში იყო და მხნე მეომარის სახელი გაითქვა მეამბოხეებთან ბრძოლებში. 1876 წლიდან კი ის შეუდგა დიპლომატიურ მოღვაწეობას და ამ ასპარეზზე გამოიჩინა დიდი ნიჭი.

ხსენებულ წელს ლი-ხუნ-ჩანგი ჩინეთის მთავრობამ დანიშნა თავის წარმომადგენლად ინგლისთან იუნანის პროვინციის შესახებ ხელშეკრულობის შესაკრავად და თავის ქვეყნის სასარგებლოდ დაასრულა ეს საქმე. ამის შემდეგ ლი-ხუნ-ჩანგი დააწინაურეს და უიმისოდ არ სწყდებოდა არც ერთი საყურადღებო საქმე,—არც შინაურს, არც გარეშე პოლიტიკაში. საყურადღებოა მის მიერ დამთავრებული ხელშეკრულებანი: 1) 1884 წელს, საფრანგეთთან, ტონკინის შესახებ; 2) 1896 წელს, იაპონიასთან, ომის დასრულების შემდეგ და ბოლოს, 3) 1901 წელს, ევროპის ყველა უმთავრეს სახელმწიფოებთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ყველა ამ ომებში —საფრანგეთთან, იაპონიასთან და შეერთებულ სახელმწიფოებთან—ჩინეთი დამარცხდა, მაგრამ დახელოვნებულმა და ნიჭიერმა დიპლომატმა ჩინეთისათვის საკმაოდ საპატიო ზავის ჩამოგდება მაინც მოახერხა.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

25 ოქტომბერი

პეტერბურგი 25 ოქტომბერს, უდღეოდ დაბადებულთათვის საქალაქო ინსტიტუტი გახსნეს და აკურთხეს; რუსეთში ეს პირველად იხსნება ამნაირი ინსტიტუტი. ამ დაწესებულების გამართვა 4000 მანეთამდე დაჯდა.

ბაქო. ბირჟის კომიტეტი და ნავთის მრეწველთა უმეტესობა ელიან, რომ მიწად მოქმედების მინისტრი ახალ საჯარო ვაჭრობას დაჰნიშნავს. მაინც არა ჰფიქრობენ, რომ საჯარო ვაჭრობა ეხლა დაინიშნოს, რადგანაც ყველა მრეწველებმა მუშაობა შეამცირეს. თუ ახალი საჯარო ვაჭრობა დაინიშნა, ნავთის ადგილებს მსხვილი მრეწველები აიღებენ სათადარიგოდ. თუ ეს მოხდა, მაშინ ნავთის მრეწველობას მთლად ფასი დააკლდება. ამ ჟამად ბაქოში დიდი ფულის ნაკლებობაა.

ლოძი. ადგილობრივი მეფაბრიკეები აქაურ ბირჟასთან არბიტრაჟის კომისიას აწესებენ ბამბის ფასის დასანიშნად, იმნაირად, როგორც ინგლისში, ლივერპულშია დაწესებული.

ხარკოვი. დღეს სამხრეთ-რუსეთის მადნის მრეწველთა მე-26 კრება გაიხსნა. თავმჯდომარედ სამხრეთ-რუსეთის სამთა-მადნო

ფელეტონი

—

„უსათაურო“

(ჩეხოვისა)

მეხუთე საუკუნეში, მიშინაც ისე, როგორც ეხლა, მზე ყოველ დღე დილაობით ამოდიოდა და საღამოობით ჩადიოდა დასაძინებლად. დილით, როდესაც მზის პირველი სხივები დილის ნამს ელერსებოდნენ და ტკბილად დაჰკოცნიდნენ, დედა-მიწა გამოცოცხლდებოდა და ჰაერი სიხარულისა და იმედების ხმით აივსებოდა ხოლმე; საღამოობით კი იგივ დედა-მიწა ჩაჩუმდებოდა და მკაცრ სიბნელეში ჩაინთქებოდა. დღე დღეს წაავგავდა და ღამე ღამეს. ხანდახან თუ წამოირბენდნენ შავ სუდარაში გამოხვეული ღრუბლები და გაისმოდა ბრაზ მორეული ქუხილი, ან გამოყრუებული ვარსკვლავი თუ ჩამოვარდებოდა ზეციდან ან არა და ფერ წასული ბერი თუ მოირბენდა და თავისს თანამოძმეთ უამბობდა, რომ აქვე უდაბნოს მახლობლივ ვეფხვი დავინახეო, თორემ სხვა დროს დღე მაინც დღეს წაავგავდა და ღამე ღამეს.

ბერები მუშაობაში და ღვთის ლოცვა დიდებაში ატარებდნენ დროს, იმათი წინამძღვარი—მოხუცი კი უკრავდა საეკკლესიო სიმღერებს ორღანოზე, სთხზავდა ლათინურ ლექსებს და საგალობლებს სწერდა. ამ ხნიერს ადამიანს საკვირველი ნიჭი ჰქონდა—ორღანოს ისეთი ხელოვნებით და გატაცებით უკრავდა, რომ ის ბერებიც კი, რომელთაც სიბერისგან სრულიად დაჰკარგოდათ სმენა, მივიდოდა თუ არა ორღანოს საოცარი ხმა იმათ სენაკამდის, ცრემლის ნაკადულად გადაიქცეოდნენ ხოლმე და ლოცვა მარხულობას უმატებდნენ. რაზედაც უნდა ელაპარაკნა—ხეებზე, მხეცებზე თუ ზღვაზე ულიმოთ სახეზე ან უცრემლოთ თვალებზე კაცს არ შეეძლო მისთვის ყური ეგდო. ადამიანს ეგონებოდა ამ ხნიერი კაცის გულში იმისთანავე სიმებს გაუდით ჟღარუნი, როგორც ორღანოშიო. როცა განრისხდებოდა რამეზე ან უზომოდ გაიხარებდა, ან რაიმე დიდ საგანზე დაიწყებდა ლაპარაკს, ზეგარდმო ნიჭი მთლად მოიცავდა ხოლმე იმის არსებას, ბრწყინვალე თვალებზე ცრემლები გამოუჩნდებოდნენ, სახე გაუბრწყინდებოდა და ხმას ისეთი რიხი მიეცემოდა, როგორც ქუხილს. მაშინ, მაშინ ბერები ცხადათ ჰგრძნობდნენ ხოლმე, რომ წინამძღვრის ვნებითი გატაცება მათ სულს უხუთავდა და სისხლს უმღვრევდა. ამისთანა ჩინებულ წუთში უსაზღვრო იყო მისი უფლება: საკმარისი იყო მოესურვა, რომ მისი მსმენელნი სიხარულით გადაცვივნულიყვნენ უძირო ზღვაში და სამუდამოდ გამოსალმებოდნენ წუთისოფელს.

მისი მუსიკა, ჩინებული ხმა და ლექსები, რომლებშიაც ის ღმერთს, ზეცას და მიწას ასე გატაცებით და გრძნობით აქებ-ადიდებდა, ბერებისათვის ბედნიერების მუდმივ წყაროდ იყვნენ გადაქცეულნი. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთგვარი და ერთფერი ცხოვრებით მობეზრებულნი ბერები ხეებსაც შეიძულებდნენ, ყვავილებსაც და გაზაფხულ შემოდგომასაც; ზღვის ხმაურობა, მისი განუწყვეტელი შხუილი მოუღალავდა მათ სმენას და ფრინველთა ნაზი გალობაც კი უსიამოვნოთ და საძაგლად ეჩვენებოდათ, მაგრამ თავიანთ წინამძღვრის ნიჭი კი, როგორც არსებითი პური, ყოველ დღე იყო მათთვის საჭირო.

ბევრმა ათეულმა წელმა გაიარა, მაგრამ დღე მაინც დღეს წაავგავდა და ღამე ღამეს. უდაბნოს ახლო მახლო გარეული მხეცების და ფრინველების გარდა სხვა ცხოველი არასოდეს არ გაიჭაჭანებდა ხოლმე. ადამიანნი ისრე შორს მოსახლეობდნენ, რომ სანამ უდაბნოში მოვიდოდნენ, ასი ვერსტი მეტი უდაბური და უშენი ტყით უნდა ევლოთ. ამ ტყის გავლას კი მხოლოდ ისინი გაბედავდნენ ხოლმე, ვისაც სიცოცხლე მოჰბეზრდებოდა, მოჰყირჭდებოდა და ცხოვრების ყოველ მხრივ უარ ყოფის შემდეგ უდაბნოში ისე მიემგზავრებოდა, როგორც საფლავში.

ყველა ამის შემდეგ როგორ უნდა გაჰკვირვებოდათ საწყალ ბერებს, როდესაც ერთს ჩვეულებრივათ უფერულს და გაჭიანურებულ ღამეში მათი მონასტრის კარები ჩვეულებრივმა ცოდვილმა და სიცოცხლის მოყვარულმა კაცმა დააკაკუნა. ჯერ ლოცვა კურთხევაც არ მოეთხოვა წინამძღვრისაგან, პირჯვარიც კი არ გადაეწერა, რომ ახლად მოსულმა ღვინო და საჭმელი მოითხოვა. როდესაც განცვიფრებული ბერები დაეკითხნენ—როგორ მოხდა, რომ ამ გადმოვარდნილს მონასტერში გაჩნდიო, სტუმარმა მოკლე და მარტივი ისტორია უამბო: სანადიროთ წამოველი, გზაში ცოტა მეტი გადავკარ და მთვრალს გზა დამებნაო. ბერების წინადადებაზე: ბერად შედექი და სული იცხონეო, ჩუმად ჩაიცინა და მიუგო:

— „მე თქვენი ამხანაგი არა ვარო“.

როდესაც კარგად გამოძღა და წყურვილიც მოიკლა, ახლად მოსულმა ბერები აათვალიერ-ჩაათვალიერა და სთქვა:

— აბა, მუქთა ხორები თქვენა ყოფილხართ, ბერებო, რომ ჭამისა და სმის მეტს არაფერს აკეთებთ! განა ეგრე უნდა სულის ცხონება? აბა, დაფიქრდით, სწორედ იმ დროს, როდესაც თქვენ აქ განცხრომაში ხართ, ჭამისა და სმის მეტს არაფერს აკეთებთ და საიქიოს ცხოვრებაზე ოცნებობთ, სწორედ იმ დროს თქვენი თანამოძმენი ათასობით იღუპებიან და ცვივიან ჯოჯოხეთში. შეხედეთ ერთი რას სჩადიან ქალაქებში! ერთნი სიმშილისა და სიცივისაგან იხოცებიან და მეორენი კი, რომელთაც არ იციან სად წაიღონ და როგორ მოიხმარონ თავისი სიმდიდრე, გარყვნილობაში ირჩობენ თავს და ისე იხოცებიან, როგორც ბუზები ტკბილს თაფლში. აღარც სარწმუნოებაა ხალხში, აღარც სათნოება და აღარც სიმართლე! ვისი საქმეა იმათი

ივერიელი

მმართველობის უფროსი ტაინი სოვეტნიკი ი. ი. ზედენცოვი იყო. კრებამ 14 საქმე უნდა განიხილოს.

კრონშტადტი. პეტერბურგის საზოგადოების გემი „თავადი გორჩაკოვი“ ვლადივასტოკში წავიდა. ამას იქით შორეულ აღმოსავლეთში გემი აღარ წავა.

ლონდონი. აქაურ გაზეთებში სიმლადან მიღებული დეპეშა დაიბეჭდა. დეპეშაში სწერია: ვაზირისებთან რომ საზღვარზე შეტაკება მოხდა, ინგლისელებს 30 ოფიცერი და სიპაი (ჯარის კაცი) მოუკლეს და 6 დაუჭრეს.

პეკინი. ბერლინში ჩინეთის ელჩად ნამყოფი გარეშე საქმეთა ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა, გარდაცვალებული გუჩუ-პენის ნაცვლად.

კონსტანტინეპოლი. ინგლისის ელჩი და ოსმალეთის მთავრობა შეთანხმდნენ კომისია ავარჩიოთ და მივანდოთ, იემენის საზღვარზე რომ ადგილების თაობაზე დავა გვაქვს, გადაწყვიტოსო.

პარიზი. „ეხო დე პარი“ სწერს: დელკასსემ ოსმალეთის მთავრობას ვადა დაუნიშნა საფრანგეთის ახალი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ვადის შემდეგ კალიარი ახალ ბრძანებას მიიღებს, ყოველ შემთხვევაში, კალიარი დიდ-ხანს დარჩება ოსმალეთის ზღვაში.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ზოგი გაზეთი სწერს: მეფე ედუარდ VII ავადაა, ყელი სტკივა, დახარკს ვეღარ ახერხებსო, ამ სენს ვეღარ გადაურჩებაო. ზოგი კიდე სულ წინააღმდეგს სწერს: მეფეს არაფერიც არა უჭირს რაო.

✡ სხვა დადის: მთავრობა პარლამენტის დანიშვნას აპირებსო; თავის აგენტებს კიდეც უბძანა, მზად იყავით, იქნება მალე ახალი არჩევნები დავნიშნოთო.

იმ დღეს მინისტრთა საბჭოს თათბირი ჰქონია. მინისტრებს მომავალი სესსიის პროგრამა შეუდგენიათ, პარლამენტი უმთავრესად შემდეგ საგნებს განიხილავს: სამხრეთ-აფრიკის ომი, საშუალო სკოლის რეფორმა და პარლამენტის წესდების შეცვლა. ეს წესდება იმნაირად უნდა შეიცვალოს, რომ ირლანდიელებს ობსტრუქციის გამართვა აღარ შეეძლოთ

ავსტრ-უნგრეთი. გაზეთები იუწყებიან: პოლონელმა დეპუტატმა სოციალისტმა დაშინსკიმ ქაღალდი დასწერა: გერმანიას პროტესტი გამოუცხადოთ, რომ პოლონელებს ასე ცუდად ექცევაო. ყველა ჩვენმა დეპუტატმა ხელი მოაწერა ამ ქაღალდს და პოლონელებმა კი უარი სთქვეს: მაგ ქაღალდს ხელს ვერ მოვაწერთ, რადგანაც ჩვენმა კლუბმა გაზაფხულზე დაადგინა, გერმანიის წინააღმდეგობით მხოლოდ სხვა სახელმწიფოებს გავახარებთ და იმათგან კი ზოგი გერმანიის ფეხი ნაბანადაც არა ღირსო. მართალია, ჩვენი თანამოძმეები ძლიერ შეწუხებულები არიან გერმანიაში, მაგრამ მაინც ერთ ჩვენ მეზობელ სახელმწიფოებში უფრო უარეს მდგომარეობაში არიანო. არაფერი შედარებაც კი არ შეიძლება ამ ორ სახელმწიფოს შუაო. გერმანიაში აწუხებენ პოლონელებს, მაგრამ ჩივილისა, დაპარაკისა და წერის ნებას მაინც აძლევენო. იმ ერთ სახელმწიფოში თან აწუხებენ, თან დასძახიან: ხმა, გლიმი არ ამოიღოთო. ანდაზისა არ იყვეს, მგელსაც კი აქვს ნება, რომ თავის სოროში თავისი დარდი იჩივლოს და იმ ერთ სახელმწიფოში კი ეს უბრალო უფლებაც არავის არა აქვსო. არა, რაც უნდა თქვას, მაინც გერმანიაში სიკვდილი სჯობია, იმ მეორე სახელმწიფოში სიცოცხლეს, ამიტომ ჩვენ არას დროს ხელს არ მოვაწერთ დაშინსკის ქაღალდსაო და ჩვენი მტრების გულს არ გავახარებთო.

სამხრეთ-აფრიკა. ორანჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტს შტეინს წერილი მიუწერია ლორდ კიტჩენერისათვის. შტეინი სწერს: «მაგ გულქვაობით და უღვთოობით მარტო ინგლისს უტეხავთ სახელს, ბურებს გერას დროს ვერ შეაშინებთ. ან რიდასი უნდა შევშინდეთ? რაც გვებადა და გვქონდა, ყველაფერი გაგვიოხრეთ და ამაზე მეტს ხომ ვეღარას გვიზამთ! ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, ან სულ გავწყდეთ, ან ჩვენი გავიტანოთო. ზავს მარტო იმ პირობით დავთანხმდებით, თუ ჩვენს დამოუკიდებლობას დაგვიბრუნებთო».

ეს წერილი შტეინს ინგლისურ ენაზედაც გადაუთარგმნია და კიტჩენერისათვის ნამდვილთან, ჰოლანდიურ ენაზე დაწერილთან, მისი ინგლისური თარგმანიც გაუგზავნია. ამის თაობაზე შტეინი სწერს: «გიგზავნით ჩემი წერილის ინგლისურ თარგმანსაც. თორემ გაზაფხულზე რეიცში რომ ჩემი წერილი ჩაიგდეთ ხელში, ისე ცუდად, თავისუფლად გადაგეთარგმნათ, რომ ვერც კი ვიცანი თქვენი თარგმანიდან ის გამოდიოდა, ვითომ მე გული გამტეხოდეს და აღარაფრის იმედი აღარ დამრჩენოდეს. მე არას დროს იმედი არ დამკარგვია. დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ბურების სიადლე მართლე უსათუოდ გაიმარჯვებს და სძლევს ინგლისელ იმპერიალისტებს და უსინდისო კაპიტალისტებს.

ახალი ამბავი

✦ კავკასიის მთავარ-მართებელი **თავ. გ. ს. გოლიცინი** ბათუმიდან ტფილისში გუშინ დაბრუნდა.

✦ გუშინ, 26 ოქტომბერს, ქალაქის მოურავის **გ. გ. ევანგულოვის** გარდაცვალების მეორმოცე დღეს, გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ: ქალაქის მოურავის მოადგილე ბ-ნი შესტაკოვი, საბჭოს ზოგიერთი ხმოსნები, ქალაქის გამგეობის წევრნი, თავ. ჩერქეზიშვილი და ხოსროევი ქალაქის სამმართველოს მოხელენი და გარდაცვალებულის ნაცნობ-ნათესავნი.

✦ სადგურ შაგალიდან (ყარსის გზა) გვატყობინებენ, რომ 25 ოქტომბერს ტფილისში მომავალი სამხედრო მატარებელი (№ 138) დაეჯახა ჩამოვარდნილ ზვავს. დაიმტვრა სამი ვაგონი და დაზარალებულია—5. დაშავებულია ერთი ჯარის-კაცი. გზა დღეისთვის უნდა იქმნეს გაწმენდილი.

✦ ხვალ **უფლად სამღვდელო კრება** ნი სამღვდელოების თანამსახურებით აკურთხებს არმაზის ღვთის მშობლის სამლოცველოს ს. მცხეთის ახლო.

✦ **სპარსეთის** შირაზის მხრისაკენ, გათათრებულ **ქართველ მაჰმადიანებში** რამდენიმე ქართული ძველი წერილები აღმოჩენილა. ეს წერილები და ავგაროზები იქ მოუპოვნია ქართველს პატრს და ზარისტების ძმობის წევრს ბართლომე ნებიერიძეს, რომელიც იქ მქადაგებლად არის გაგზავნილი.

✦ ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, მოხდა საზოგადო კრება **ღოთობის საწინააღმდეგო ტფილისის საზოგადოების** წევრთა. წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა საზოგადოების კომიტეტის ანგარიში და სარევიზიო კომისიის მოხსენება. შემდეგ კრებას მოხსენდა, რომ, რადგანაც საზოგადოების წესდება დამტკიცებულ იქმნა, ამიერიდან მისი მოღვაწეობა გაფართოვებულ უნდა იქნას, მით უმეტეს, რომ ახლო მომავალში ტფილისში აშენებულ იქნება სახალხო სახლი; ამიტომ საჭირო არის კომიტეტის გაძლიერებაო. კრებამ მოიწონა ეს წინადადება და აირჩია კომიტეტში შემდეგი პირები: ნ. ა. ხუდადოვი, ა. ბ. ევანგულოვი, ნ. ა. სახაროვი, ა. გ. ჯაბადარი, ე. პ. სოფრონოვი, კნ. მ. მ. თუმანიშვილისა, თავ. გ. მ. თუმანიშვილი, თავ. კ. მ. თუმანიშვილი, ა. ი. ფლორენსკი, გ. მ. ლასხიშვილი და ი. მ. დოლუხანოვი.

✦ ხვალ, 28 ოქტომბერს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში საღამოს 7 საათზე დანიშნულია სხდომა კავკასიის **საქონლის მომშენებელთა კრებისა.** ამ სხდომაზე მოხსენებას წაიკითხავენ შემდეგნი პირნი: ა. ა. ქალანთარი—მერძეობის შესახებ, ნ. ა. კანცელმახერი და პ. ზ. ბაჟენუკ-მელიქოვი—ღორების მოვლა-მოშენების შესახებ, ს. ნ. ტიმოფეევი—იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ ღორების მოშენების საქმეში სიმინდი, ბ-ნი რადულოვიჩი—დაკვირვებანი კავკასიის ღორების ჯიშის შესახებ და სხვ.

✦ გუშინ დაიწყო **ბითლების კრება** ბ რემერის თავმჯდომარეობით. კრების უმთავრესი საგანია საქონლის ჭირთან ბრძოლა საზოგადოთ და კანსაკუთრებით—აც-

---

დახსნა, ვინ უნდა გამოიყვანოს ეს სულით თუ ზნეობით დაცემული ხალხი ნათელს და ჭეშმარიტს გზაზე? ვინა? მე ხომ არა, რომელსაც ღვინისაგან მთვრალს დილიდან საღამომდინ მძინავს და ძნელად თუ როდისმე გამოვფხიზლდები? განა სარწმუნოება და მოყვარული გული იმიტომ მოგცათ ღმერთმა, რომ ოთხ კედელში გამოემწყვდიეთ და ნურაფერს ნუ გააკეთებთო?

მთვრალის კადნიერმა სიტყვამ საოცრად იმოქმედა წინამძღვარზე. გაფითრებულმა მოხუცმა გადახედა ბერებს და სთქვა:

— ეს კაცი სრულს სიმართლეს გვეუბნება, ძმანო! მართლაც და საწყალი ადამიანი თურმე თავისი შეუგნებლობით თუ სისუსტით იღუპება, ჩაფლულა გარყვნილებაში და ბიწიერებიდან ველარ ამოუყვია თავი და ჩვენ კი, თითქოს ეს ჩვენ სრულიად არ შეგვეხებოდეს, ადგილიდანაც კი არ ვიძვრით. რატომ არ უნდა წავიდე ეხლა მე და იმ ცოდვილთ არ მოვაგონო ის მაცხოვარი, რომელიც ასე უგუნურად დაივიწყებიათ მათ?

მოქალაქის სიტყვებმა მოხუცი გაიტაცეს; აიღო მეორე დღესვე მან თავისი ჯოხი, გამოეთხოვა ძმებს და ქალაქისაკენ გასწია. დარჩნენ ბერები უმუსიკოთ, ულექსებოთ და უქადაგებოთ.

გაატარეს როგორც იყო ერთი თვე, მეორე თვე, მაგრამ წინამძღვარი მაინც არა სჩანდა. ბოლოს, მესამე თვეც რომ გათავდა, ერთს დღეს ბერებს მოესმათ მისი ჩვეულებრივი კარის კაკუნი და ფეხის ხმა. სუყველანი სიხარულით მიეგებნენ საყვარელ წინამძღვარს და რაკი ყველას უნდოდა რაც შეიძლება მალე გაეგოთ მიზეზი ასეთი დაგვიანებისა, ერთმანერთს აღარ აცლიდნენ და ყველანი სხვა-და-სხვა კითხვებს აძლევდნენ. წინამძღვარს, იმის მაგიერ, რომ თავის უდაბნოში დაბრუნება გახარებოდა, წასკდა მწარე ტირილი და ერთი სიტყვაც არ უთქვამს ისე გაჩუმებული შევიდა თავისს სენაკში და კარები ჩაიკეტა. ამ უკანასკნელ სამ თვეს საკვირვლად დაებერებინა წინამძღვარი და წელში მოეხარა. მისი გამხდარი სახე მწუხარებისა და მოქანცულობის მეტს არაფერს გამოხატავდა.

შვიდი დღე და ღამე იყო ის დაკეტილი თავისს სენაკში და არც არაფერს, სჭამდა არც სვამდა. რასაკვირველია, მონასტერში მისწყდა სიმღერებისა და მუსიკის ხმა და ჩუმათ ამოოხვრის და ქვითინის მეტს კაცი ველარაფერს გაიგონებდა. ბერები ბევრჯერ მივიდნენ წინამძღვრის კარებთან და ეხვეწებოდნენ გამოსულიყო და თავისი ვარამი მათთვისაც გაეზიარებინა, მაგრამ ამაოდ—გულჩათხრობილი ბერი არავის არ ელაპარაკებოდა.

ბოლოს გამოვიდა სენაკიდან. შეჰკრიბა ყველა ბერები და ნამტირალევ-დაღვრემილის სახით მოჰყვა რაც გადახდენოდა ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში და რის მოწამეც ნება-უნებლიედ გამხდარიყო. სანამ მოგზაურობის აღწერაში იყო, სახეც უბრწყინავდა და ხმაც დამშვიდებული ჰქონდა გზაშიო, ამბობდა წინამძღვარი, ფრინველები მშვენივრად ჰიკჰიკებდნენ, მღეროდნენ, პატარ-პატარა ნაკადულები საიდუმლოთ მოჩხრიალებდნენ და ტკბილი იმედები სულსა და გულს სასიამოთ მილელბდნენ. მივდიოდი და ჩემი თავი იმ მეომრად მეგულებოდა, რომელიც საბრძოლველად მიდის და წინდაწინვე დარწმუნებული გამარჯვებაში. საამო ოცნებით გარემოცული მივდიოდი და ღვთის სადიდებელ ჰიმნებს ვაწყობდი და, რასაკვირველია, ვერც კი გავიგე, როგორ გავიარე ამოდენა მანძილი და ქალაქში როგორ ჩავედიო.

აქ შეუკანკალდა ხმა, თვალები გაუბრწყინდა და როცა ქალაქზედ და იქ მცხოვრებ ხალხზედ დაიწყო ლაპარაკი, მთლად ბრაზით აივსო და პირიდან ცეცხლს აფრქვევდა. ის, რაც მან ქალაქში თავისი თვალით ნახა და გაიგო, არამც თუ არასოდეს არ უნახავს, ისეთი წუთიც კი არა ჰქონია მთელ თავისს ცხოვრებაში, რომ მათი წარმოდგენაც კი გაებედნა. ამ სიბერის დროს პირველად აქ, ამ ქალაქში მიხვდა და გაიგო თუ ეშმაკს რა ძალა ჰქონია, ცოდვა რა მშვენიერი ყოფილა და საწყალი ადამიანი რა სუსტი და მდაბალი ყოფილა სულითა. რაღაც უბედურების წყალობით, პირველი სახლი, რომელშიაც მან ფეხი შესდგა, გარყვნილებისა და ბიწიერებისა გამოდგა. ორმოცამდინ კაცი, რომელსაც ბევრი ფული ჰქონდათ და არ იცოდნენ როგორ მოეხმარებინათ, შეყრილიყვნენ ამ სახლში, უზომოთ სჭამდნენ და სვამდნენ. ღვინით დამთვრალნი ისინი მღეროდნენ და ისეთს საშინელ ბინძურ სიტყვებს ამბობდნენ, რომ მათ გამეორებასაც კი ვერ გაბედავს ვერც ერთი ღვთის მოშიშარი ადამიანი. უსაზღვროთ თავისუფლებს, ჯან-საღებს და ბედნიერებს არც ღვთისა ეშინოდათ, არც ეშმაკისა და არც სიკვდილისა. დაუფიქრებლივ ამბობდნენ იმას, რაც მოადგებოდათ ენაზედ და სჩადიოდნენ იმას, რის ჩადენაც ჰსურდათ უაზროთ. მისდევდნენ თავისს გაუმაძღარ და გარყვნილ სხეულს და საზღვარი არ ეგულებოდათ არსად. ღვინო, რომელსაც ისინი სვამდნენ, სუფთა, როგორც ქარვა და ოქროს ფრად მოელვარე, უსათუოდ მეტის მეტი ტკბილი უნდა ყოფილიყო და სუნნელოვანი, რადგან სმის დროს ყველა მათგანი ბედნიერად იღიმებოდა და, ეტყობოდა, კიდევ უნდოდა სმა. ადამიანის ღიმილზე ისიც იღიმებოდა და მხიარულად ბზინავდა ჭიქებში, თითქოს თითონვე შეუგნია თავისი ფასი, მნიშვნელობა და ესმის რა სიმშვენიერეს და ნექტარს ჰფარავს თავის საოცარ სიტკბოში.

თვალ-ცრემლიანი და გრძნობაში შესული ბერი განაგრძობდა ნანახის და გაგონილის აღწერას.—იმ მაგიდაზედ, რომელსაც შემოსხდომოდნენ მოქეიფენი, ნახევრად ტიტველი ქალი იდგა. ძნელია ადამიანმა ამისთანა მშვენიერი და მომხიბლავი სხვა რამე წარმოიდგინოს ან და მოსძებნოს ბუნებაში. ეს საძაგელი, ახლად ათქორებული, გრძელ თმიანი, შავ-გვრემანი, შავ-თვალ-წარბა და მსუქანი მსხვილ ტუჩებიანი უსირცხვილო ქალი თავისუფლად იდგა მაგიდაზედ, თოვლსავით თეთრი კბილები გამოეყარა და რაღაც ეშმაკურის სიმშვენიერით იღიმებოდა, თითქოს ეს უნდა ეთქვა: „აბა შემომხედეთ, რა თავხედი და რა ლამაზი ვარ!“ მხრებიდან კოჭებამდინ ფარჩასა და აბრეშუმში გახვეულიყო, მაგრამ საუცხოვო სილამაზეს არ უნდოდა ტანთსაცმელის ქვეშ დამალულიყო და როგორც ქორფა ბალახი გაზაფხულის მდელოზე, ხარბათ გამოიჭვრიტებოდა ტანთ-საცმელის ხელოვნურად გაკეთებულ ნაკეცებში.

შემდეგ ბრაზ-მორეული ბერი, მუშტებისა და ხელების ქნევით დოლებს აღწერდა, თეატრებს, მხატვრობის სამუშაო ოთახებს, სადაც ტიტველა ქალებს ჰხატავენ და თიხისას აკეთებენ. განცვიფრებული ბერები ხარბათ უსმენდნენ თავიანთ წინამძღვარს და მეტის-მეტი სიხარულით თუ ნეტარებით სული უგუბდებოდათ...

აღწერა თუ არა მოხუცმა ეშმაკის საოცარი ძალა, ცოდვის სიმშვენიერე-სილამაზე და საზიზღარი ქალის სხეულის მომხიბლავი სიტურფე, დასწყევლა, შეაჩვენა ეშმაკი, მიბრუნდა და შეიკეტა სენაკის კარები...

მეორე დღეს, როცა წინამძღვარი გამოვიდა თავის სენაკიდან, აღარც ერთი ბერი აღარ მოიპოვებოდა მონასტერში—სულ ყველანი ქალაქში გაქცეულიყვნენ.

იგ. ზოდუმორდვინოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის გავრცელება. კრებამ აგრეთვე უნდა ამოირჩიოს და აღნიშნოს ის გზები, რომელზედაც შეიძლება საქონლის საძოვრად გადენა.

✦ **მინდვრის კულტურის** მოღვაწეთა 23 ოქტომბრის სხდომაზე, როგორც ვიცით, ბ-ნ ა. ა. ქალანთარმა საყურადღებო საკითხი აღძრა იმის შესახებ, თუ როგორ აწყოდონ დამშევის დროს ხალხს სათესლე ხორბალი. გუშინ-წინდელს კრებაზე ეს საკითხი ამნაირად გარდასწყვიტეს: აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ დაარსდეს ტფილისში სათესლე ხორბლის ბიურო, საიდანაც მსურველნი საჭიროების დროს სათესლე ხორბალს გაიწერენ ხოლმე. ამ ბიუროს დასაარსებლად ბ-მა ქალანთარმა თავის მხრით შესწირა 200 მ.ნ.

✦ ტფილისის ვექილთა ბიუროსათვის 10 ოქტომბრიდან სულ 12—13 დღის განმავლობაში უკვე 800-მდე მთხოვნელს მიუმართავს.

✦ როგორც ვიცით, ტფილისის მოქალაქეთა **მოურავი ედიგაროვი** სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენის გამოძიების გზაშია მიცემული. თანახმად კანონისა, გამოძიების ქვეშ მყოფი რომელიმე მოხელე, ვიდრე საქმე დასრულდებოდეს, სამსახურიდან უნდა იქმნეს დათხოვნილი, მაგრამ, რადგანაც ედიგაროვს კანდიდატი არა ჰყოლია, იგი დღევანდლამდე განაგრძობს თავისის თანამდებობის აღსრულებას.

✦ ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** ქართულის ენის მასწავლებლად ბ-ნი კანდელაკის მაგიერ და ისტორიის მასწავლებლად ბეჟანოვის მაგიერ, დაინიშნა—ქართული ენის მასწავლებლად ს. პეტერბურგის უნივერსიტეტში კურს დასრულებული ბ-ნი აბულაძე, ხოლო ისტორიისა—ბ-ნი კატანიანცი.

✦ 25 ოქტომბერს, საღამოზე, ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა ქალაქის **სასწავლებელთა გამგე კომისიას** სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად; სხვათა-შორის, კომისიამ განიხილა მოხსენება ტფილისის სახელოსნო სკოლის დირექტორისა იმის შესახებ, რომ ამ სასწავლებლის კლასის დამრიგებელ მასწავლებლებს თითოს ყოველ წლობით მიემატოს 90 მან. ისე, როგორც ეს სხვა სასასწავლებლებში არისო. ხელ მოკლეობის გამო კლასის დამრიგებელნი ვერ ნახულობენ მოსწავლეების ბინებს. ამიტომ საჭიროა მათ ფეხის ქირა მიეცესო. კომიტეტმა სახეში მიიღო ის გარემოება, რომ ხსენებულ სასწავლებლის წესდება განსახილველად აქვს ქალაქის გამგეობას და შესაძლებელია, სულ შეიცვალოს იგი და გადასწყვიტა სახელოსნო სკოლას აღნიშნულ მიზნისათვის მომავალ 1902 წლიდან 100 მან. ეძლიოს წელი წადში.

✦ ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** ხელოსანს ვავრს ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ 25 ოქტომბერს სხდომაზედ 150 მან. დაუნიშნა ერთჟამიერ შემწეობად.

✦ 25 ოქტომბერს ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ დაადგინა შეიძინოს გორის სემინარიის თათრულ განყოფილების ინსპექტორის **„მოკლე ისტორია კავკასიისა“**. და ასის წლის იუბილეის სახსოვრად დაურიგოს ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში 10 ცალი და 52 ცალი ქალაქის სხვა სასწავლებლებში.

✦ ამ წლის 1-ლ ნახევარში (იანვრიდან ივლისამდე) ამიერ-კავკასიის **რკინის გზებს შემოსვლია**: 1) მგზავრებისაგან და საქონლის სწრაფ მატარებლებით გადაზიდვიდან —1,329 200 მან.; 2) საქონლის ნელი მატარებლებით გადაზიდვიდან—8,143,813 მან.; 3) სხვა-და-სხვა გადასახადი, რომელიც დაწესებულია საქონლის გადაზიდვის ტარიფის გარდა—698,802 მან.; 4) სხვა-და-სხვა შემოსავალი—451,662 მან.; სულ —11,623,477 მან.; თითო ვერსტზე მოდის შემოსავალი—8,726 მან. 33 კაპ. ამ ექვსი თვის განმავლობაში რკინის გზას დაეხარჯა 7 მილიონამდე, ასე რომ ნახევარ წელიწადში 5 მილიონამდე წმინდა შემოსავალი დარჩებათ ამიერ კავკასიის რკინის გზებს.

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ა გაუგია, რომ ტფილისის საბჭოს ზოგიერთ ხმოსნებს განზრახვა აქვთ აღძრან საკითხი იმის შესახებ, რომ **გაუქმებულ იქმნას საქალაქო ინჟინრის თანამდებობა**, რადგანაც გამგეობის ახალი წევრი—ბ. ენფიანჯიანცი ინჟენერია და თვით შეუძლია აწარმოოს საამშენებლო განყოფილების საქმეები.

✦ ქალაქ ფოთის მოქალაქეთა მოურავად დამტკიცებულ იქმნა იოსებ **ჯაჯაიაშვილი**.

✦ ყარსის ოლქის **სამოვარ ადგილების** განაწილება უკვე დაასრულეს. ეხლა სხვა ადგილებში შეუდგებიან ამ საქმეს.

✦ საექიმო დეპარტამენტში შეუმუშავებიათ ზომები კეთრის წინააღმდეგ საბრძოლველად. განზრახვა აქვთ ამ სენთან ბრძოლაში მონაწილეობა მიაღებინონ იმ ადგილების მცხოვრებლებსაც, სადაც კეთროვანები აღმოუჩენიათ.

✦ საერო განათლების სამინისტროს წარუდგენია სახელმწიფო საბჭოში რამდენიმე წინადადება მომავალ სამოსწავლო წელს ახალ სახელოვნო, სამრეწველო და საშუალო სკოლების დაარსებაზედ. სხვათა შორის, სპეციალურ სკოლებს დააარსებენ კავკასიაშიაც. ყირიმში დაარსებული იქნება სასწავლებელი განსაკუთრებით სუსტ ფილტვებიანებისათვის.

✦ „მოსკოვ. ვედომ.“-ს სიტყვით, ამ ჟამად აღძრულია საკითხი, რომ მოსპობილ ან შეცვლილ იქნას **საგვქსელო** წესდების მე-6 მუხლის მეორე პუნქტი, რომლითაც გლეხებს აკრძალული აქვთ თამასუქების გაცემა.

✦ სამხედრო სამინისტრო ამ ჟამად ადგენს პროექტს, რომლის ძალით განზრახულია **სავალდებულო დაზღვევა** იქმნას დაწესებული სამხედრო სამსახურში მყოფთა. პროექტი მალე წარედგინება დასამტკიცებლად სახელმწიფო საბჭოს.

✦ სასულიერო უმთავრეს უწყებას განუმარტავს, რომ **დასაფლავების ადგილები** ყველგან, სატახტო ქალაქების გარდა, უფასოდ უნდა დაეთმოს დაწესებულ სასაფლაოებზე.

✦ სენატის ახსნით, **ქარხნებსა და ფაბრიკებს**, თუ ისინი დამთავრებული არიან, უნდა დაედოს გადასახადი იმის მიუხედავათ, დაწყებულია მუშაობა, თუ არა.

✦ **სენატმა** ერთხელ კიდევ **ახსნა**, ქალაქის თვით მმართველობას უფლება არა აქვს აუკრძალოს კერძო პირს სახლის აშენება საკუთარ ადგილზე, თუნდაც განზრახული იყოს ამ ადგილზე ქუჩის გაყვანა. აკრძალვის უფლების შეძენისათვის ქალაქმა ჯერ თვით ადგილი უნდა შეისყიდოს.

✦ სათანადო უწყებაში აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ სრულიად შეცვლილ იქმნან აწ არსებული წესები **სახაზინო საქმეების** საიჯაროდ გაცემის შესახებ.

✦ დღეს, 27 ოქტომბერს, ტფილისის **სამოსამართლო პალატაში**, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: შორაპნის მაზრის კაცხის მამასახლისად ნამყოფის იოსებ გ—ძის ცერცვაძისა, რომელსაც სამსახურის დროს ჩადენილი ბოროტ-მოქმედება ედება ბრალად, დავით ტეგიშვილისა კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდება, ფილიმონ ჩხეიძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-148 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება, ბარბარე ხაბულიანისა, რომელსაც არაყის ჩუმად გამოხდა ბრალდება და სხვანი

✦ ვიღაც დილკევიჩმა გუშინ განუცხადა ქალაქის გამგეობას, რომ, რადგანაც ციციანიშვილის კლდის გამაგრების პროექტის შედგენის კონკურსში მასაც სურს მონაწილეობა მიიღოს, მისთვის საჭიროა იცოდეს ნება დართული იქნება, თუ არა კლდის გასამაგრებელ კედლის აყვანა, ან რამდენად შეიძლება ციციშვილის აღმართის გზის სიგანის მოკლება და რამდენი წყალი გამოდის დღე-ღამეში ციციშვილის კლდის ქვეშიდან და სხვ..

✦ ერთი ვაჭარი ამ -ი მისულა ქალით სასტუმრო ლივადიაში და აუღია ნომერი. ცოტა ხანს იქით ვაჭარს დასძინებია და როცა გამოღვიძებია, ქალი აღარ უნახავს, ქალთან ერთად გამქრალა, რაც კი რამ თან ჰქონია ვაჭარს.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში, 25 ოქტომბერს ინჟენერმა იარალოვმა განაცხადა, რომ მას 23 ოქტომბერს, ღამით, ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა მოჰპარა ერთი ფორმის პალტო და ერთი შუბა ღირებული სულ 150 მან.

✦ პოლიციის მოხელემ ყორღანოვის სახლთან პოლიციის მე-4 ნაწილში, ლაბორატორის ქუჩაზე ნახა მიგდებული 3 კვირის ბავშვი მდედრობითი სქესისა, რომელიც ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნა.

✦ 22 ოქტომბერს, პოლიციის მე-8 ნაწილში ღამის 11 საათზე, ტფილისის მოქალაქე დავით რეგანოვი წაეჩხუბა ტფილისისავე მცხოვრებს მიხეილ ზალინოვს, რომელიც დასჭრა დანით ბარძაყსა და ბეჭში. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში, 24 ოქტომბერს შეიპყრეს ალექსანდროვის ამხანაგი მეორე ქურდი კონსტანტინე ტერ-აბრამოვიც; როგორც ვიცით, ალექსანდროვმა და აბრამოვმა კუკიის სასაფლაოზე მოტყუებით ჩიხლაძეს 75 მან. წაართვეს.

კავკასიის გამოფენა

ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველომ სთხოვა გუშინ კავკასიის გამოფენის გამმართველ კომიტეტს, ამიერ კავკასიის რკინის გზის ექსპონატებს ექსპერტიზას ნუ გაუკეთებთო.

**

მიუხედავათ კარგის ამინდებისა, ამ ბოლო დღეებში კავკასიის გამოფენაზე ხალხი ძალიან ნაკლებად დაიარება.

**

გუშინ ტფილისის მეორე დედათა გიმნაზიის უკანასკნელ კლასის მოსწავლე ქალებმა დაათვალიერეს კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენა.

**

კავკასიის გამოფენის ხალხის გასართობ განყოფილებამ წარმოდგენის გამართვა გამოფენის თეატრიდან გუშინ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში გადმოიტანა. იმის მოლოდინში, რომ აქაც წარმოდგენები კომიტეტს ზარალს ვერ აუნაზღაურებს, გუშინ საღამოს სხდომა ჰქონდა ამ განყოფილებას ბ ნ თაიროვის თავმჯდომარეობით, იმის გამოსარკვევად, თუ საიდან გამონახონ ფული ზარალის დასაფარავად.

პრესსა

ამას წინად ჩვენ ვწერდით, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული უნდა მოახმაროს გორსა და თელავში პროგიმნაზიულ კლასების დაარსებას; ამასთანავე ჩვენ ისიც ვთქვით, რომ ამ სასწავლებლებში ვაჟებსაცა და ქალებსაც უნდა ასწავლონ, რომ ამით, ცოტა არ იყოს, ჩვენებურ ქალების სწავლის საქმეც წინ წაიწევს. რუსეთში და ჩვენში ორივე სქესის ბავშვების ერთად სწავლება მიღებული არ არის და ამიტომ, შესაძლებელია, ბევრს ეუცხოვა გამოთქმული მოსაზრება. მაგრამ არის ქვეყანა, სადაც ეს წესი კანონიერად, სამართლიანად და ამასთანავე კარგ პედაგოგიურ საშუალებად მიაჩნიათ. ეს ქვეყანა—ამერიკაა, სადაც კანონი არ არჩევს ვაჟ და ქალ მოსწავლეს, რადგან იქ მიღებულია მათი ერთად აღზრდა და სწავლება არა მარტო დაბალ, არამედ საშუალო და უმაღლეს სკოლებშიაც. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს ვკითხულობთ ჟურნალ „ტეხნიჩ. ობრაზოვანიე“-ში. წერილის ავტორის, ბ. მიჟუევს სიტყვით, ამერიკაში ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლება იმან გამოიწვია თავდაპირველად, რომ ახალ შტატების მცხოვრებნი ღარიბნი იყვნენ და ვერ შეიძლეს ორთავე სქესის ბავშების ცალკ-ცალკე სწავლება (ეს გარემოება საყურადღებოა ჩვენთვის) და საერთო კლასებში მოათავსეს დროებით. შემდეგ კი დარწმუნდნენ, რომ ვაჟთა და ქალთა ერთად სწავლებას მშვენიერი შედეგი მოჰყვა და დროებითი საშუალება მუდმივ ჩვეულება-კანონად შეიქმნა.

„გამოცდილებამ უჩვენა ამერიკელთო, ამბობს ხსენებული ავტორი, რომ ვაჟთა და ქალთა ერთად სწავლებას კარგი და კეთილი გავლენა აქვს ორთავე სქესის ბავშვებზე. უცხოელი მოგზაურ-პედაგოგები გაკვირვებული არიან იმით, რომ ამერიკულ სკოლებში, მიუხედავად იმისა, რომ ზედამხედველ-აღმზრდელთა რიცხვი უფრო მცირეა, ვიდრე ევროპის სკოლებში, შესანიშნავი დისციპლინა, კარგი ყოფა-ქცევა და სამაგალითო ზნეობრივი სიფაქიზე ჰსუფევსო; ხსენებული პედაგოგები ამას ქალების გავლენით ხსნიან. ბავშები თავიდანვე ეჩვევიან ერთმანეთს; მათ შორის სრულიად მარტივი, და-ძმური ურთიერთობა მყარდება და ვაჟების ხასიათი უფრო კეთილშობილდება, ქალებისა-კი უფრო მაგრდება; ცხოვრებაში ქალებიცა და კაცებიც შესანიშნავ ენერგიასა და ხასიათის სიმტკიცეს იჩენენ. ამის გარდა, ვაჟთა და ქალთა ერთად სწავლებას ის სამართლიანი შედეგი მოჰყვა, რომ ამერიკაში არ არსებობს ევროპიელთა გაუგებარი ცრუ-მორწმუნება, ვითომ ქალი და ვაჟი ერთსა და იმავე სწავლას არ უნდა იძენდნენო და სხვა ამგვარი“.

იმავე წერილში ჩვენ ვკითხულობთ მეორე საყურადღებო ცნობას ამერიკულ სკოლის შესახებ. იქ სკოლა და ოჯახი ან საზოგადოება ისე განცალკავებულნი არ არიან ერთმანეთისაგან, როგორც ევროპაში, სადაც სკოლასა და საზოგადოების შორის თითქმის მტრობა არსებობს. ამერიკის ყველა სკოლები ღიანი არიან ოჯახისა და საზოგადოების წევრთათვის. ყოველს მშობელს ნება აქვს, როდესაც მოისურვებს, შევიდეს სკოლაში და თავის თვალით ნახოს, რას აკეთებს მისი შვილი. კლასებში მშობლებისათვის განსაკუთრებული ადგილები ყოფილა მიჩენილი; იქ ხშირად სხედან თურმე მშობლები და ყურს უგდებენ გაკვეთილს; ეს არც მასწავლებელს, არც მოწაფეს არაფერს უშლის; პირიქით, აქეზებს და ათამამებს მათ. საპედაგოგიო რჩევებში მშობლების აზრსა და შენიშვნებსაც დიდის ყურადღებით ისმენენ პედაგოგებიო.

თეატრი

ქართული თეატრი. „ვენეციელი ვაჭარი“. ქართულ საზოგადოების გულ-გრილობამ ჩვენ არტისტებსაც გაუგრილა გული მათ საქმეზე. სხვაფრივ ვერ აგვიხსნია ის გარემოება, რომ პირველ წარმოდგენებს ასეთის მუყაითობით ეკიდებოდნენ საქმეს და სცდილობდნენ არა თუ როლების დასწავლას, როლების შეგნებასაც; ეხლა კი სცენაზე სრულებით მოუმზადებელი გამოდიან.

გუშინ-წინდელ წარმოდგენაზე კ. ყიფიანისა და შათირიშვილის მეტმა როლი არავინ იცოდა; რაც შეეხება როლების ასრულებას, ყველა სუსტები იყვნენ (თუ მეტი არა). კ. ყიფიანი გარეგნად—გრიმით, ჩაცმით, მიხვრა-მოხვრით და სახის გამომეტყველებით კარგი შეილოკი იყო; თამაშსაც დაკვირვება ეტყობოდა—არტისტი ბევრი სცდილა სული ჩაედგა როლისათვის და, ვიმეორებთ, გარეგნად კარგადაც შეასრულა, მაგრამ მაინც ვერ ახდენდა შესაფერ შთაბეჭდილებას. შეილოკი ძლიერი პიროვნებაა; იგი შეპყრობილი არის მძლავრის გულისთქმით—მოხვეჭის სიყვარული და შურის ძიებით და ამ ორგვარი საქმით შეპყრობილი ძლიერი პიროვნება ძლიერსა და თან შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს მაყურებელზე. კოტე ყიფიანის შეილოკი კი შორს იყო ამ სიძლიერისა და შეძრწუნებისაგან... პიესის დანარჩენი პირები შეილოკთან შედარებით კაცუნები არიან. კ. ყიფიანის შეილოკი კი თავის პიროვნობით მხოლოდ ცოტათი იდგა მაღლა დანარჩენებზე.

ვურჩევთ არტისტებს და მათ რეჟისორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ასე მოუმზადებლად ნუ გამოდიან სცენაზე. რეჟისორმა მეტი სიმტკიცე და სიმკაცრე უნდა გამოიჩინოს: თუ არტისტებმა როლი არ იციან, ისევ სჯობს წარმოდგენა გადაიდვას, თორემ ისედაც გულ-გრილი ჩვენი საზოგადოება, სრულებით ზურგს შეაქცევს ქართულ თეატრს.

ხუთშაბათს წარმოდგენაზე ყველაზე ცუდათ როლები ევდოშვილმა და ქ. ლეჟავამ იცოდნენ, განსაკუთრებით პირველმა.

სამინდვრო კულტურის წარმომადგენელთა კრება

25 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში მინდვრის კულტურის მოღვაწეთა კრებას 25 კაცი დაესწრო. ამ საღამოს კრებამ განიხილა ორი მოხსენება ბ-ნ კომენეცკისა და ბ-ნ ს. ზავაროვისა. ბ-ნმა კომენეცკიმ თვის მოხსენებაში აღნიშნა ის გარემოება, რომ მეურნეობაში დახელოვნებული სპეციალისტი პირები ძალიან დაშორებული არიან ხალხს და ამიტომ ხშირად ხალხი დროზე ვერ იღებს საჭირო ცნობებს მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის შესახებ, ვერ ახერხებს გააუმჯობესოს წარმოება და ამ მიზნისთვის შეიძინოს საუკეთესო იარაღები. ამ არა სასურველ გარემოებას ხელს უწყობს ისიც, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მოკლებულნი არიან თვით-მოქმედებას და ვერ ახერხებენ თავიანთი საჭიროებანი სათანადო დაწესებულებას შეატყობინონ. მომხსენებლის აზრით, ამ ნაკლის ასაცილებლად უნდა ისე მოეწყოს საქმე, რომ თითოეულს მაზრაში ამორჩეულ იქმნენ ოცამდე წარმომადგენელნი.

ეს წარმომადგენელნი დრო-გამოშვებით მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით გამართავენ სხდომებს ამა თუ იმ საკითხის განსახილველად და შემდეგ ყოველივე თავის საჭიროებას მაზრის უფროსისა და შემდეგ გუბერნატორის საშუალებით აცნობებენ სათანადო დაწესებულებას. ამ მოხსენებამ კარგა ხნის კამათი გამოიწვია. ზოგი წინააღმდეგი გაუხდა მომხსენებლის წინადადებას იმ მოსაზრებით, რომ ასეთი რიგი ყოველთვის ბიუროკრატიულ-კანცელიარიულ ხასიათს მიიღებს და მიზანს ვერ მიაღწევსო. ზოგი თანახმა გაუხდა მომხსენებელს; მხოლოდ საჭიროდ დაინახეს, რომ ასეთ დაწესებულებას არ მიეცეს კანცელიარიული ხასიათი.

მეორე მოხსენება წაიკითხა ბ-ნ ს. ზავაროვმა ერევნის გუბერნიის შესახებ; აღწერა ამ გუბერნიის მდებარეობა, ჰაერი, მცხოვრებთა მდგომარეობა, ადგილობრივ მიწის ნიადაგი და სხვანი. შემდეგ ბ. ზავაროვმა აღნიშნა წყლის დიდი მნიშვნელობა მეურნეობაში და უჩვენა კრებას, თუ რა ცუდ მდგომარეობაშია უწყლობისა გამო ხსენებული გუბერნია. ბევრი ადგილი ეხლა გაუდაბნოებულია და თუ რამენაირად შევეცდებით და იქ არხებს გავიყვანთ, შესაძლებელი იქნება ყოველ-გვარ მეურნეობის მოწყობა. ეხლა უწყლო ადგილები შედარებით ცოტა შემოსავალს იძლევა, ხოლო თუ არხები გავიყვანეთ და ადგილები სარწყავი გახდება, მაშინ დესეტინა 150—200 მან. შემოიტანს, ამიტომ საჭიროა ამ მხრივ ყურადღება მიექცეს ერევნის გუბერნიას, რომლისთვის არხების გაყვანას რკინის გზის გაყვანაზე უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება. აღნიშნულ მოხსენებათა შესახებ კრება არავითარს გარდაწყვეტილებას არ დასდგომია, რადგან მოსასმენი აქვს კიდევ რამოდენიმე მოხსენება.

კრების სხდომა გუშინ საღამოსათვის გადაიდო.

პროვინცია

თიანეთი. ათი წელიწადი იქნება, რაც თიანეთში სახაზინოდ ჯარმა დაიწყო სიარული. ჯარის მოსვლისთანავე თიანელებს სახელმწიფო მინდვრები ჩამოართვეს და მის ბადლად 9—10 ვერსის მანძილზე გორის წვერებზე მისცეს სახნავები, სადაც ან სრულებით არ მოდის მოსავალი ან და თუ მოვიდა, დანახარჯს ვერ ასწორებს.

თიანეთში მოსავალი თან-და-თან უფრო კლებულობს. დიდი ღვთის წყალობა იქნება, თუ წრევანდელმა მოსავალმა ოჯახი გამოჰკვებოს. ზოგს თიანეთის ახლო-მახლო მცხოვრებთ, ცუდი ამინდის გამო, ძნა გაულეწავი დარჩათ და ვინ იცის, როდის ეღირსებათ გალეწვა. აქ თოვლი ენკენისთვის შუა რიცხვებში მოვიდა და აქაური გლეხები ძალიან შეაწუხა. სიცივე 7—8 გრადუსამდე ავიდა.

ამას წინათ აქეთ ერთი არა ჩვეულებრივი უბედურება მოხდა: ს. დოჩოში საბა თორგვაძეს დამაზო ქალი ჰყოლია. ქალს მრავალის ახალ გაზრდა ყმაწვილ-კაცის გული აუტოკებია, მაგრამ მშობლები ქალისათვის კარგ-საქმროს ეძებდნენ თურმე. ქალის გული კი ერთ მის სოფლელს მიუგია. ქალსა და ყმაწვილს ერთმანერთში საიდუმლოდ პირობა მიუციათ შეუღლებისა. დედ-მამას კი სხვა სასიძო უშოვნია და ამ თვის 15-ში მისულა კიდეც ახალი საქმრო ქალის დასანიშნად. ქალს რომ გაუგია, სხვაზე მათხოვებენო, საბძელში შესულა, ჩამოუბია თავისი სარტყელი და თავი ჩამოუხრჩვია. დედ-მამას ეგონა ჩვენი ქალი მეზობლებში წავიდოდაო და მეორე დღეს აი უნახავთ საწყალი ქალი ჩამომხრჩვალი.

დ. გოჯაშვილი.

კახეთი. დიდი ხანია კახელებმა ცოტა იყო თუ ბევრი მაჭარი დააყენეს. ეს ერთად-ერთი იმედია გლეხი კაცისა, რომლიდანაც მთელის სხნას შემოელისაგან, (წელს, კახეთში ბევრი ისე ნაკლები მოვიდა, რომ მომეტებულ ნაწილს მცხოვრებისას სასყიდელი გაუხდათ) სახელმწიფო გადასახადიდან, სიტიტვლე-სიცივისაგან და ვინ მოსთვლის რამდენი აუცილებელი ხარჯი აწევს მისგან ვაი-ვაგლახით დაყენებულ ღვინოს. დააყენეს მაჭარი და ახლა მოუთმენლად ელოდნენ სირაჯს, მაგრამ სად არის მუშტარი! წინათ თუ ტკბილზე იყიდებოდა ხოლმე, ეხლა მაჭრობაშიაც არ გაიყიდა; ამისათვის გადაიღეს და დააწმინდავეს, მაგრამ მაინც ჯერ-ჯერობით არ არის ღვინის მუშტარი. თუ ათაში ერთხელ ეიდულობენ, ისიც ადგილობრივი სირაჯები; ამათაც რა დაინახეს, რომ მეიდვლე არავინაა მათ მეტი, ისეთ ფასს იძლევიან, რომ თვით გლეხ-კაცს უზის მაზე მეტი. ამისდა მიუხედავად გლეხი-კაცი მაინც იძულებული ხდება მიჰყიდოს სირაჯს ღვინო მის სიტყვაზე—საპალნე (32 ჩაფი) 50—70 მანეთად.

ამ მოვლენის უმთავრესს მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ სირაჯი ამ ბოლო დროს განჯა-ერევანს უფრო ეტანება, რადგან ღვინო ძლიერ იაფად უჯდება, გადატანაც რკინის გზაზე იაფია და ისე ძნელიც არ არის, როგორც კახეთიდან. ამასთან—კიდევ ეს რამდენიმე წელია, ხშა არის, კახეთში ღვინო აღარ მოდისო. ან რაც მოდის, ძრიელ ძვირიაო. შარშანდელი ღვინო ამ ჟამად კახეთში ბლომადაა გასასყიდი, ნამეტნავად თავადიშვილებისა. ჯერ-ჯერობით ღვინის გაუყიდაობა იმასაც უნდა მივაწეროთ, რომ სირაჯი დამალულია, მოელიან უცდის, რათა გლეხი-კაცი უფრო გაჭირვებაში ჩავარდეს; მაშინ კი გამოჩნდება და საწყალი გლეხიც მას უვარდება ხელში. ან კი რა ჰქნას საბრალომ! თუ ასე არ მოიქცევა, მაშინ ხომ დარჩება მისი ღვინო საბოლოოდ გაუყიდავი. ღვინის ბაზარზე გატანა და იქ გაყიდვა ხომ ჯერ-ჯერობით კახელ გლეხ-კაცს აზრადაც არ მოუვა.

დიმიტრაშვილი.

სალამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 ოქტომბერი

პეტერბურგი. სემიპალატინის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენერალ ლეიტენანტი კარპოვი, ავადმყოფობისა გამო სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა.—ვიატკის გუბერნატორს კლინგენბერგს უმაღლესად ებრძანა იყოს ვლადიმირის გუბერნატორად.—ენისეის ვიცე გუბერნატორს ხომუტოვს უმაღლესად ებრძანა იქმნეს ვიოტკის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.

ფინანსთა მინისტრმა შესაძლებლად სცნო შესცვალოს თვისი განკარგულება, რომელიც ამ წლის 28 მაისს მოახდინა იმის შესახებ, რომ რუსეთის ბირჟაზე აღიკრძალოს ყველა იმ სავაჭრო და საწარმოვო საზოგადოებათა ფასიანი ქაღალდები, რომელთა დაფუძნების ანუ მმართველობის საქმეში გერმანიის ქვეშევრდომთ მონაწილეობა აქვთო.

ნიჟნი ნოვგოროდი. ოლქის სასამართლომ გაარჩია, სისხლის სამართლის იშვიათი საქმე. თეატრის ანტრეპრენერს ნეზლობინს უჩიოდა „ცნობის წიგნაკის“ გამომცემელი ვინოგრადოვი იმის გამო, რომ ხელოვნურ საკუთრების უფლება დაარღვია ნეზლობინმაო, რადგან სათეატრო პროგრამაში ათავსებდა და თავისს თეატრის გეგმას რომელიც ვინოგრადოვის წიგნაკში დაბეჭდილ გეგმას მიაგავდა. სასამართლომ ნეზლობინი გაამართლა.

პარიზი. მიტილენიდან მოსული დეპეშა იუწყება, რომ ადმირალმა კალიარმა ადგილობრივი დამოჟნები დაიჭირა და არავისაგან წინააღმდეგობა არ შეხვედრია. სახელმწიფოებს ცირკულიარული ნოტა გაუგზავნეს, როსელშიაც, თანახმად დელკასესაგან პარლამენტში გამოცხადებულ განცხადებისა, გამოთქმულია საფრანგეთის განზრახვა. აქამდე მიღებულ საპასუხო დეპეშებიდან სჩანს, რომ საფრანგეთის ნოტა ყველგან თანაგრძნობით მიიღეს.

კელნი. „კელნის გაზეთი“ იტყობინება, რომ ბერლინში მყოფმა საფრანგეთის ელჩმა დღეს წარადგინა მოხსენება შესახებ საფრანგეთის საზღვაო ექსპედიციისა. ამ მოხსენებაში ნათქვამია, რომ საფრანგეთს არავითარი სურვილი არა აქვს დაისაკუთროს ოსმალეთის ტერრიტორიაო. მიტილენში ფლოტი იმ განზრახვით გაიგზავნა, რომ საფრანგეთს უზრუნველ ეყო თავისი თავი, რათა ოსმალეთისაგან მიეღო შეპირებული საზღაური.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მთავრობამ გუშინ საღამოს გაუგზავნა ნოტა საფრანგეთის საელჩოს წევრს ბაპსტს და შეატყობინა, რომ მთავრობა თანახმაა განაახლოს 16 ეკკლესია და მონასტერი სხვა-და-სხვა ვილაიეტში.

პარიზი ადმირალ კალიარის დეპეშა კუნძულ მიტილენიდან გამოგზავნილია და ოსმალეთის ტელეგრაფით არის გადმოცემული. ამ დეპეშით კალიარი იტყობინება, რომ მიტილენის სადამოჟნო დაწესებულებანი დავიჭირე და აქ მოვიდნენ გემები „ლიონი“ და „ეპე“-ო.

რედაქტორი ხდ. ჭუმბიძ. გამომცემელი ხდ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 23 ოქტომბერს

გაქსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,70
ბერლინზე 100 მარკაში	45,95
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,55
ბერლინზე „	46,90
პრიზზე „	37,55
ბირჟის დისკონტი	$5\frac{1}{2}$—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96\frac{1}{8}$ გაყიდ.
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$456\frac{1}{2}$ „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$342\frac{1}{2}$ მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	243 გაყიდ.
$3\frac{1}{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	89 „
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	=
$4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა *)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ბაქო-ტფილისისაკენ 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.); 2)—შუადამის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის დამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე და ბაქომდე: 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.).

ГОДЪ XVIII. **Открыта подписка на 1902 годъ** ГОДЪ XVIII.

на издающуюся въ городѣ Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную и политическую газету

„Сѣверный Кавказъ“

(съ Октября 1901 г. форматъ газеты увеличенъ)

выходящую три раза въ недѣлю—по вторникамъ, четвергамъ и субботамъ—и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго она носитъ.

ВЪ ПРОМЕЖУТОЧНЫЕ ДНИ—среду, пятницу и воскресенье выходятъ ТЕЛЕГРАММЫ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой и пересылкой:		Безъ доставки и пересылки:	
На годъ	5 р. 50 к.	На годъ	4 р. 50 к.
„ полгода	3 „ — „	„ полгода	2 „ 50 „
„ 3 мѣсяца	1 „ 75 „	„ 3 мѣсяца	1 „ 50 „
„ 1 мѣсяцъ	— „ 60 „	„ 1 мѣсяцъ	— „ 50 „

Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками.

Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей

АДРЕСЪ: Ставрополь-Кавказскій, редакція „Сѣвернаго Кавказа“. Телефонъ № 36.

Пріемъ объявленій: въ Ставроп.-Кавк. въ ред. и тип. „Сѣв. Кавк.“; въ Москвѣ и Петербургѣ въ конт. Торг. Дома Л. и Э. Метцль и К°.

Издатель В. В. Беркъ. Редакторъ Д. И. Евсѣевъ. (3. 3—1)